საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის

ბრძანება №7

2019 წლის 21 მაისი

ქ.თბილისი

„ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (სსმ IV, №32, 02.11.06) №3 დანართში, სადაც მოცემულია იმ იურიდიულ პირთა სია, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მოძრაობა თალიბანთან და ორგანიზაცია ალ- ქაიდასთან, დაემატოს ბრძანების №1 დანართში მოცემული მონაცემი.

2. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (სსმ IV, №32, 02.11.06) №2 დანართში, სადაც მოცემულია იმ ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან, ამოღებულ იქნეს ნომერი 193.

ვალერიან ხასაშვილი

დანართი №1

იურიდიულ პირთა სია, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მოძრაობა თალიბანთან და ორგანიზაცია ალ-ქაიდასთან

№	ორგანიზაციის დასახელება	დასახელების სხვა ვარიანტები	მისამართი	სიაში შეყვანის თარიღი	სხვა ინფორმაცია
160	ISLAMIC STATE IN IRAQ AND THE LEVANT - KHORASAN (ISIL- K)	ა) ISIL KHORASAN ბ) ISLAMIC STATE'S KHORASAN PROVINCE გ) ISIS WILAYAT KHORASAN დ) ISIL'S SOUTH ASIA BRANCH ე) SOUTH ASIAN CHAPTER OF ISIL			Islamic State of Iraq and the Levant - Khorasan (ISIL - K) ჩამოყალიბდა 2015 წლის 10 იანვარს Tehrik-e Taliban Pakistan (TTP)- ის (იურიდიულ პირთა სიაში 130-ე) ყოფილი მმართველის და თალიბანის ფრაქციების მმართველების მიერ, რომლებმაც შეჰფიცეს ერთგულება Islamic State of Iraq and the Levant -Al-Qaida in Iraq-ს (იურიდიულ პირთა სიაში 83-ე). ISIL – K has აიღო პასუხისმგებლობა რამდენიმე თავდასხმაზე ავღანეთსა და პაკისტანში. ინტერპოლის უშიშროების საბჭოს სპეციალური განცხადების ვებმისამართი: https://www.interpol.int/How-we-work/Notices/View-UN-Notices-Entities